

ლერი ჯიბლაძე

**დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ და პროტოკოლხურ  
კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის**

Leri Jibladze

**For the relationship between the Eneolithic and Proto-Colchian cultures in Western Georgia**

*Abstract:* The Eneolithic culture, widespread in western Transcaucasia, is concentrated in the Rioni-Kvirila basin and in the northwestern part of Colchis. They are located on a plateau, in river valleys, in a hilly area surrounding the Colchis Lowland, etc. The exception is the Colchis Lowland itself, where geo-climatic conditions at that time excluded the possibility of human settlement. We think that the Eneolithic culture of Western Georgia, represented by caves and open settlements, originated in the depths of the Neolithic culture. The next Colchian culture of the early Bronze Age is also believed to have originated from the previous Eneolithic culture. In the lowlands of Colchis, due to the geo-climatic conditions during the Chalcolithic period, the possibility of human settlements is excluded. It is believed that the settlement of this region began in the Early Bronze Age. For some elements, the hereditary connection of materials from the late Neolithic period with the ancient settlements of the Proto-Colchian culture (phase I) in a low seaside terrace surrounding the Colchian plain is noticeable.

დასავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული ენეოლითური კულტურა ძირითადად თავმოყრილია რიონ-ყვირილას აუზში და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში [7:120; 14:241-269]. ისინი განლაგებულია პლატოებზე, მდინარეთა ხეობებში, კოლხეთის დაბლობის გარემომცველ ბორცვოვან ზოლში, ბუნებრივ შემაღლებებსა და მაღალმთიან ადგილებში. გამონაკლისს წარმოადგენს თვით კოლხეთის დაბლობი, სადაც იმ პერიოდში გეოკლიმატური პირობები გამორიცხავდა ადამიანთა დასახლების შესაძლებლობას [11:216; 20:36].

დასავლეთ საქართველოში ენეოლითური კულტურა წარმოდგენილია მღვიმეებითა და ღია ტიპის ნამოსახლარებით, რომლებიც მიაჩნიათ ნეოლითური კულტურის წიაღში აღმოცენებულად [6:95; 7:120; 18:174]. კოლხეთის მომდევნო ადრებრინჯაოს ხანის

კულტურასაც<sup>1</sup> თვლიან წინამორბედი ენეოლითური კულტურის საფუძველზე წარმოქმნილად. ნეოლითის, ენეოლით ისა და ადრებრინჯაოს ხანის კულტურების გენეზისურ კავშირებს ამჩნევენ ისეთ წამყვან ელემენტებში როგორცაა: დასახლების წესი, მეურნეობის სახეობები, საწარმოო იარაღები, კერამიკა და შემკულობა [12:16].

წინამდებარე მცირე ფორმატის სტატიაში ყურადღება გვინდა გავახვილოთ კოლხეთის დაბლობის გარემომცველ ბორცვოვან ზოლში, დაბალ ზღვისპირა ტერასაზე განლაგებული გვიანენეოლითური ხანის ნამოსახლარების<sup>2</sup> (ჩაქვი, მაჭარა IV ფენა, ატარა არმიანსკაია, გვანდრა B ფენა) ურთიერთმიმართებაზე შავიზღვისპირა ზოლში არსებულ ისპანის, ფიჩორის (VIII-VII ფენა), ოჩამჩირის, ანაკლია პირველის (ქვედა ფენა), პროტოკოლხური კულტურის (I ეტაპი) ნამოსახლარების მასალებთან. წინა კულტურასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ასევე მხედველობაში გვაქვს, შავიზღვისპირა ზოლიდან რამდენადმე სიღრმეში მდებარე ჭოლიპას, შემოქმედის, საელიაოს კურზიასა (ქვედა I ფენა) და ქუთაისში ბაგრატის ტაძრის მიდამოების (არქიელის გორა)<sup>3</sup> ნამოსახლარებზე აღმოჩენილი პროტოკოლხური პერიოდის მასალებიც. საინტერესოა, რა საერთო ნიშნების მიხედვით შეიძლება

<sup>1</sup> ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი – პროტოკოლხური (თ. მიქელაძე) უფრო ისტორიული ხასიათისაა და ეთნიკური დატვირთვაც გააჩნია. ამიტომ უფრო მართებულად თვლიან მის ნაცვლად გამოვიყენოთ კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც გავრცელებულია კოლხეთის მთელი შავიზღვისპირეთის სიგრძეზე [14:32]. მის შიდა პერიოდიზაციაში გამოყოფენ ადრეული, განვითარებული და ფინალური ეტაპის ძეგლებს, სადაც სხვადასხვა საფეხურზე გაერთიანებულია ჩვენი აზრით განსხვავებული, მაგრამ მონათესავე კულტურების მატარებელი ძეგლები, როგორცაა: ისპანი, ფიჩორი (VII, VIII ფენები), ოჩამჩირე და მეორე მხრივ, ვორონცოვის მღვიმე-ნამოსახლარები, აფხაზეთის დოლმენები. ამ ფაქტს ხსნიან კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის ერთიანი კულტურის სივრცეში ლოკალური ვარიანტების არსებობით [13:82-83; 14:35]. ამ საკითხებზე ასევე იხილეთ [23:2017].

<sup>2</sup> გვიანენეოლითის ხანას ასევე აკუთნებენ მღვიმურ და ღია ტიპის ნამოსახლარების მასალათა ნაწილს: თეთრი მღვიმე, საგვარჯილე (II ფენა), სამეღე კლდე II, დარკვეთი III-II, თეთრამინა, ჩიხორი, ახალსოფელი [7; 8:79-85; 12:224].

<sup>3</sup> ქუთაისში ბაგრატის ტაძრის ინტერიერსა და ექსტერიერში 2005-2009 წლებში მიმდინარე სამუშაოებისას დადგინდა ძეგლის სტრატეგრაფია და ქრონოლოგია. ტაძრის სამხრეთი კარიბჭის აღმოსავლეთი კედლის ექსტერიერში გავლებულ სადაზვერვო თხრილში 4,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენა, რომელიც წარმოდგენილი იყო ქვის იარაღებით, მათ შორის ყუახვრელიანი ქვის ცულითა და უსახო კერამიკის ფრაგმენტებით [3:11-13; 4:5, სურ. 2-3].

მოიძებნოს ერთობლიობა ამ ორ ერთმანეთისგან ქრონოლოგიურად დაშორებულ არქეოლოგიურ კულტურებს შორის. ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში ეს პრობლემა ძალზე მწირედაა გაშუქებული, რასაც ვერ ვიტყვით პროტოკოლხური (II ეტაპი-შუაბრინჯაოს ხანა) კულტურის ურთიერთმიმართებაზე მომდევნო ძველკოლხურ კულტურასთან. ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამახვილდა ყურადღება [2:63-76; 22:7-18; 23:93-102]. დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს ხანის ადრე და შუა საფეხურზეც საკმაოდ კარგად ჩანს კულტურის თანმიმდევრული განვითარება, სადაც მკვეთრ გარდატეხას მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანიდან ამჩნევენ<sup>4</sup> [19:102].

როგორც ზემოთ აღინიშნა, კოლხეთის დაბლობზე, ენეოლითურ ხანაში (ძირითადად მხედველობაში გვაქვს მისი განვითარების გვიანი საფეხური) გეოკლიმატური პირობების გამო გამორიცხავენ ადამიანთა დასახლებების შესაძლებლობას, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს. თვლიან, რომ ეს მხარე არც წინა ნეოლითის ხანაშიც ჩანს დასახლებული. მისი სამოსახლოდ ათვისება მხოლოდ ადრებრინჯაოს პერიოდიდან იწყება [11:228, 219; 19:36]. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, კოლხეთის დაბლობზე არ მოიაზრება ერთმანეთთან სტრატეგრაფიულად ურთიერთმონაცვლე ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენები, სადაც შესაძლო იქნებოდა თვალი გაგვედევნებინა მათ შორის არსებულ სავარაუდო გენეტიკურ კავშირებზე. ეს სურათი კი პირიქით კარგად ფიქსირდება რიონყვირილას აუზში – მღვიმე-ნამოსახლარებზე (სამეღე კლდე, საგვარჯილე, დარკვეთი), სადაც ადრებრინჯაოს ხანის ფენები პირდაპირ ენეოლითური ხანის ფენებზე დევს და იგრძნობა კულტურათა თანმიმდევრული განვითარება [ფხაკაძე 1992:228].

<sup>4</sup> გამოითქვა მოსაზრება, რომ წინა კოლხურსა და ტერამარების კულტურებს შორის შესაძლო ერთადერთ დამაკავშირებელ სახმელეთო გზას უნდა გაეწვოდნენ შავი ზღვის ჩრდილო სტეპურ ზონაში. ამის გათვალისწინებით პროტოკოლხებს კავშირი უნდა ჰქონოდათ კატაკომბელბთან, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანაში მთლიანად აკონტროლებდნენ ამ გზას. ქვის ცულების აღმოჩენებთან ერთად, ამ ფაქტის დამადასტურებელ არგუმენტად მიაჩნიათ პროტოკოლხურ თიხის ჭურჭელზე მწკრივებად განლაგებული ნერტილოვანი ორნამენტის სხვადასხვა სახეების გამოჩენა, რომელიც დამახასიათებელი ნიშანია სტეპური სამყაროსათვის, მათ შორის კატაკომბური კულტურისათვისაც [11:84]. ბ. კუფტინის მოსაზრებითაც, კოლხური კულტურა მანამდე სრულიადაც არ იცნობდა ამ სახის ორნამენტს [11:84; 32:165-166].

დ. ხახუტაიშვილის მოსაზრებით,<sup>5</sup> კოლხეთის დაბლობის ზღვის-პირა ზოლში განლაგებული ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების ნაწილი განადგურებული უნდა იყოს ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე ახალშავზღვური ტრანსგრესიისა და ფანაგორიული რეგრესიის მიმდინარეობისას [16:3-18]. მოხსენიებულ პერიოდში ეს პროცესები რომ ხდებოდა, ამას მოწმობს ისპანის, ჭოლიპასა და ერგეტას „ონწყომიაში“ ნამოსახლარების მაგალითები [10:33-39]. აღნიშნულ პრობლემაზე უფრო სრული სურათის წარმოსადგენად ორიოდე სიტყვით შეეჩერდებით ამ საკითხზე.

ძვ.წ. IV ათასწლეულში შავი ზღვის დონემ თანამედროვე ნიშნულს მიაღწია, რის შემდეგ იგი მსოფლიო ოკიანის დონის ანევ-დანევის შედეგად შესაბამისად განიცდიდა 1.5-5 მეტრის ფარგლებში დროებით რყევებს [31; 17:146-152].

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში მსოფლიო ოკიანისა და შესაბამისად შავი ზღვის დონემ 1.5-2 მეტრით აინია (ახალშავზღვური ტრანსგრესია), რის შემდეგ დაიწყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ზოლის დაჭაობება. ამ პროცესების შედეგად წარმოიქმნა ახალშავზღვური დიუნა (ახალშავზღვური ტერასა), რომელმაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დაბლობზე გამდინარე წყლებს ერთგვარი ბარიერი შეუქმნა და ზღვაში გასასვლელი გადაუკეტა. ამის გამო არსებობა შეწყვიტა ადრებრინჯაოს ხანის დასახლებებმა, რომლებიც ახალშავზღვური ტერასის ახლოს მდებარეობდა. ერთ-ერთი ასეთი ისპანის ნამოსახლარია, რომელიც 2 მეტრის სისქის ტორფმა დაფარა [33:147]. კოლხეთის დაბლობზე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენები განლაგებულია ახალშავზღვური ტერასის (დიუნას) უკან წარმოდგენილ ტორფნარევში (ისპანი, ყულევი, ანაკლია), სადაც კონსერვაციის საუკეთესო პირობები არსებობდა [17:11]. ფიქრობენ, რომ ამ პროცესების შედეგად კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილის 9-10 ათასი წლის წინანდელი ზედაპირი ამჟამად 30-40 მეტრის სიღრმეზეა დამარხული ალუვიური, ზღვიური და ტბიურ-ჭაობური ნალექებით. ამიტომ მიაჩნიათ, რომ კოლხეთის დაბლობზე პალეოლითური, ნეოლითური და ენეოლითური დროის დასახლებების კვალი არ ჩანს. თუ საერთოდ არსებობდნენ ისინი, აღნიშნული ნალექების ქვეშ უნდა მოიძებნოს [9:39]<sup>6</sup>.

<sup>5</sup> ეს მოსაზრება შემდგომში გაზიარებულ იქნა [17:10].

<sup>6</sup> ეს გამოკვლევა საყურადღებოა იმიტაც, რომ მასში მოცემულია ფაზების მიხედვით ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე ახალშავზღვური ტრანსგრესიისა და ფანაგორიული რეგრესიის ურთიერთსინქრონიზაციის საკითხები კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-I ათასწლეულების ნამოსახლარებთან [9].

დნელი სათქმელია რამდენად გასაზიარებელია ეს მოსაზრება კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში ნეოლითისა და ენეოლითის ხანის ძეგლების არ არსებობაზე, რომელსაც დღესდღეობით არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს. მაგრამ ერთი რამ ცხადი უნდა იყოს, რომ არასასურველმა საცხოვრებელმა პირობებმა ხელი შეუშალა ამ რეგიონის სამოსახლოდ ათვისებას. ჩვენ მხრივ დავძენთ, რომ სავარაუდოდ ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე ამ პროცესების შედეგად უნდა აიხსნას ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების მხრივ არსებული ლაკუნა, რომელიც შეინიშნება შავიზღვისპირა ზოლში, მდ. ენგურსა და ჩოლოქს შორის მდებარე ტერიტორიაზე [25:170].

როგორც ჩანს, ამ პროცესების მიმდინარეობისას იმ ზონაში, სადაც ზღვის მოქმედება უფრო აქტიური იყო, პროტოკოლხური (შესაძლოა გვიან ენეოლითური ხანის) ძეგლები განადგურდა და ტორფქვეშ მოექცა. გადარჩა მხოლოდ ისინი, რომლებიც მაშინდელი ზღვის სანაპიროდან რამდენადმე დაცილებული იყო და ზღვის აქტივობა ვერ მისწვდა. ბუნებრივია, ახალშავზღვურ ტრანსგრესიასა და ფანაგორულ რეგრესიას უდიდესი ზეგავლენა უნდა მოეხდინა კოლხეთის დაბლობის სამოსახლოდ ათვისებაზე, ჰიდროლოგიაზე, ხელოვნურ სამოსახლო ბორცვთა წარმოქმნაზე, მათ განლაგებაზე, სადრენაჟო-საარხო სისტემების დაფუძნება-დახვეწაზე, არქიტექტურაზე და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე.

უკანასკნელ პერიოდში კოლხეთში არ გათხრილა ახალი ძეგლები, რომლებიც ამ საკითხზე ახალ მონაცემებს მოგვცემდა. მიუხედავად ამისა გვინდა გარკვეული მოსაზრება გამოვთქვათ, ძველი შესწავლილი ძეგლებიდან მომდინარე მასალების მიხედვით. დასაშვებად მიგვაჩნია ზღვისპირა ზოლში განლაგებული პროტოკოლხური კულტურის (I ეტაპი, ადრებრინჯაოს ხანა) სანყისების მოძიება წინამორბედი ენეოლითური პერიოდიდან. ვფიქრობთ, ეს შედარებით კარგად იკვეთება ამ კულტურის განვითარების გვიან საფეხურზე (მაჭარა IV ფენა, ატარა არმიანსკაია, ჩაქვი, გვანდრა B ფენა). მათ შორის გენეტიკური კავშირები ისახება როგორც ქვის იარაღების, ასევე კერამიკული მასალების მიხედვით. შესადარებლად ავიღოთ თუნდაც პროტოკოლხური კერამიკა, რომელიც ნეოლითის, უფრო მეტად კი ენეოლითის ტრადიციებს აგრძელებს. ორივე კულტურის თიხის ნაწარმის კეცში შეიმჩნევა კვარცის, ქარსის, ხვინჭის, ხრემისა და შამოტის ჩანარები. გვიანენეოლითური ხანისათვის დამახასიათებელი მასიურქუსლიანი, ძირლრუიანი, ძირშედრეკილი და ლარნაკისებურძირიანი ქურჭელი არსებობას განაგრძობს პროტოკოლხური

I ეტაპის ნამოსახლარებზეც (ფიჩორის VIII ფენა, ანაკლია I ქვედა ფენა, ისპანი). ფიჩორის ქვედა ფენის, ოჩამჩირის მცენარის ანაბეჭდიანი, შედრეკილი და მასიურქუსლიანი ძირებიანი კერამიკით მემკვიდრეობითი კავშირების არსებობა შესაძლოა შევამჩნიოთ გვიანენეოლითური ხანის (მაჭარა IV-ფენა, ატარა არმიანსკაია) ნამოსახლარის მასალებთან.

კოლხეთის დაბლობის ენეოლითის, ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის ერთგვარი ტრადიციების გაგრძელება იკვეთება კოპებით, შვერილებით, პირმოყრილი ჯამების ზოგიერთი სახეობით და ნაფოტის-მაგვარი ნივთით თიხის ჭურჭლის ზედაპირის მოსწორების ტრადიციის არსებობით. დაკბილული ნაფოტის მაგვარი ნივთით თიხის ჭურჭლის ზედაპირის მოსწორება დამახასიათებელია არა მარტო ღია ტიპის (ატარა არმიანსკაია, ფსოუ), არამედ მღვიმე ნამოსახლარების (ოქუმი) მასალებისათვის.

მთის წინა ზოლის გვიანენეოლითური ხანის ზოგიერთ ძეგლზე (სამელე კლდე II ჰორიზონტი) იშვიათად გვხვდება სამკუთხედიანსებური, პირამიდისებური შემკობა, რომელიც ხშირად წარმოდგენილია პროტოკოლხური II ეტაპის (შუაბრინჯაოს ხანა) თიხის ნაწარმში [21:სურ. 22]. კოლხეთის გვიანენეოლითური ხანის ორნამენტების განმეორება ხშირად დასტურდება ძველკოლხური კერამიკის შემკობაში. ესენია: თიხის ჭურჭლის კორპუსის გაფორმება მარცვლოვანი ჭდეებისა და ვერტიკალურად დასმული წინწოვანი ორნამენტების რამდენიმე რიგით, კოპისებური შვერილებით, ნერტილოვანი ორნამენტით, პირის ქობის დაჭდევებით (ანასეული II, ოდიში) [6:ტაბ. XX, XXI, XXII-3,8,14; 21:47-49, სურ. 20,23]. საერთოდ, გვიან ნეოლითში პირველად ჩნდება თიხის ქილისებური ბრტყელძირა ჭურჭლის შემკობა თევზიფხური, ტალღისებური, ტეხილხაზოვანი მოტივებით. საინტერესოა, რომ კოლხეთის ბარის კერამიკაში შემკობის ეს სახე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშიც ხშირად მეორდება. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა არქეოლოგიური პერიოდის მასალებს შორის, ზოგიერთი ტრადიციის არსებობა მეთუნეობაში გრძელდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამორბედ ენეოლითური ხანის კულტურასთან ქვის ინვენტარის მიხედვით შეინიშნება უშუალო მემკვიდრეობითი კავშირები. კერძოდ, ორივე კულტურის ამ სახის იარაღების უმრავლესობა დამზადებულია სიგრძეზე გაპობილი რიყის ქვისგან [18:33]. ასევე მემკვიდრეობითი კავშირები ვლინდება ცალპირალესილი სოლისებური ქვის ცულებით, კვირისტავების ფორმებით, რიყის ქვისგან დამზადებული გვერდებშეჭრილი თევზსაჭერი ბადის სანაფებითა და სხვა სახის ინვენტარით.

კოლხეთში გვიანენეოლითურ, ადრებრინჯაოს ხანაში დაბალ ზღვისპირა ტერასაზე და ბორცვოვან ზოლში, ღია ტიპის ნამოსახლარებზე (მაჭარა IV ფენა, ატარა არმიანსკაია, გვანდრა B ფენა, ჩაქვი) საცხოვრებლად ვარაუდობენ მიწურებსა და ნახევრად მიწურ ნაგებობებს [29:114; 30:10-12; 34:38-39; 28:109-117]. ისინი მრგვალ გეგმიანი ან ოთხკუთხა ძირბრტყელი ორმოებია, რომელზედაც ზემოდან აღმართული უნდა ყოფილიყო სარ-ლასტიანი, ფაცხისმაგვარი შენობები. მათ გარშემო სარების ჩასამაგრებელი ორმოები შემოუყვებოდა [12:239].

ფიქრობენ, რომ ადრებრინჯაოს ხანაში (მაჭარა III ფენა, გუანდრა B ფენა) ხის კარკასები ლერწმის ტიპის სპეციალური მცენარით იყო შემოწნული; ისინი კონად კარგად იკვრებოდა და იფარებოდა რაიმე მცენარით ან ლერწმით. ეს კონსტრუქციები შიდა და გარე მხრიდან თიხით იყო შემოლესილი. სათავსოების ასაგებად მოედნები წინასწარ იყო მომზადებული-მოტკეპნილი [13:51; 23:38]. ამ სახის ნაგებობების გამართვის ტრადიცია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გრძელდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (ტამიშის, მოქვის, კისტრიკისა და სხვა ნამოსახლარები) [23:38; 2:36]. სავარაუდოდ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ენეოლით, ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის განმავლობაში, შედარებით უფრო თბილი სუბტროპიკული კლიმატური პირობების არსებობის გამო, ალბათ ასეთი ტიპის შენობები ჭარბობდა [23:37].

საინტერესოა ერთმანეთთან როგორ თანხვედრაშია გვიანენეოლითისა და კოლხეთის ბარის ნამოსახლარებზე მიღებული რადიონახშირბადის თარიღები. ხომ არ შეინიშნება მათ შორის დიდი ქრონოლოგიური წყვეტილი. გვიანი ენეოლითური ხანის ძეგლებზე ამ მხრივ ძალზე მწირე მონაცემები გაგვაჩნია. მაგ.: მაჭარის IV ფენა C-14 განისაზღვრა ძვ.წ. 3810±90 წ; ძუძუანა ძვ.წ. 3565±130 წ. [12:221,223]. სამწუხაროდ ამ ძეგლებიდან არ გვაქვს კალიბრირებული თარიღები. ასევე მოვიტანთ C-14 კალიბრირებულ თარიღებს კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლის ყველაზე ადრეული პროტოკოლხური I ეტაპის ნამოსახლარებიდან: ისპანის ქვედა ჰორიზონტი: ძვ.წ. 3175±287; ძვ.წ. 3225±283 წ. (მიღებულია მ. ქლარქის საკალიბრაციო მრუდის გამოყენებით) [16:75-76]. თსუ რადიონახშირბადის ლაბორატორიაში დაიმონის მრუდის გამოყენებით ამ ჰორიზონტის ასაკი უდრის 5100±159 – ძვ.წ. 3150; 5130±92 – ძვ.წ. 3180 წ. [27:23]. ისპანის ზედა ჰორიზონტი C-14 განისაზღვრა 4600±108 წ. (ძვ.წ. XXVII ს). ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VII-VIII კულტურული ფენები კალიბრი-

რებული მეთოდით (C-14) განისაზღვრა  $4245 \pm 109$  (ძვ.წ. XXIII ს) და  $4710 \pm 108$  წ. (ძვ.წ. XXVII ს) [16:37]<sup>7</sup>.

როგორც მოვიხსენიეთ, კოლხეთის დაბლობის სამოსახლოდ ათვისება იწყება ადრებრინჯაოს ხანაში. ამ ფაქტს არქეოლოგიური მონაცემებით ჩვენც ვეთანხმებით. აღნიშნულ საკითხზე უფრო სრული წარმოდგენის შექმნისათვის საჭიროა პროტოკოლხური კულტურის საწყისების მოძიება. ბუნებრივია, რომ კოლხეთის დაბლობზე პროტოკოლხური კულტურის ძეგლები უეცრად ვერ აღმოცენდებოდა. ეს უნდა ყოფილიყო გარკვეული პროცესი და სათავეს უნდა იღებდეს უფრო ადრეული ენეოლითური პერიოდიდან. თუ კოლხეთის დაბლობზე გეოკლიმატური პირობების გამო გამორიცხავენ ენეოლითური პერიოდის დასახლებებს, მაშინ საინტერესოა, საიდან და რა დროს მოვიდა ეს უძველესი, პროტოკოლხური კულტურის მატარებელი ქართველური ეთნიკური კულტურული ნაკადი, სამოსახლოდ შავიზღვისპირა ზოლში; იქნებ მათ სამოსახლოდ გადმოინაცვლეს კოლხეთის დაბლობის ბორცვოვანი ზოლიდან (ოქუმი, ატარა არმიანსკაია და სხვ.) [13:83]<sup>8</sup>. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელებამ რიონ-ყვირილას აუზში ხომ არ გამოიწვია დასავლეთ საქართველოს ტომების გადაადგილება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით [19; 12:231] და მათი ნაწილის მოხვედრა კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში. არც იმას გამორიცხავენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენამ დასავლეთ საქართველოში უფრო დააჩქარა კოლხეთის დაბლობის სამოსახლოდ ათვისება [21:129].

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კოლხეთის დაბლობის პირველი ამთვისებლები დასასახლებლად ირჩევდნენ უფრო ხელსაყრელ პირობებს, ისინი ალბათ გადაადგილდებოდნენ ზღვის სანაპიროს გასწვრივ. იქნებ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველაზე ადრეული პროტოკოლხური სამოსახლოები განფენილია შავიზღვისპირა ზოლში [24:83]. ჩნდება მეტად საინტერესო კითხვები, რომელიც მეტნაკლებად პასუხის გაცემას მოითხოვს.

<sup>7</sup> ისპანის ქვედა ჰორიზონტი არაკალიბრირებული მეთოდით განისაზღვრა ძვ.წ. XXVI, XXVII სს, ხოლო ზედა ჰორიზონტი კი ძვ.წ. XXII ს. ფიორის VIII-VII ფენების ასაკი ამავე მეთოდით უდრის ძვ.წ. XXI და ძვ.წ. XXIV სს [16:23].

<sup>8</sup> პროტოკოლხური და ძველი კოლხური კულტურების მატარებელი უძველესი ქართველური ეთნიკური კულტურული ნაკადების სვანური და ზანურენოვანი მოსახლეობის პირველსაფეხურზე და მათ მოძრაობა-გადაადგილებაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, რომელსაც არ გავიმეორებთ. ამ საკითხებზე არსებული ლიტერატურა იხილეთ [5; 1:25-35; 23:120-123; 24:77-104].



ამრიგად, ამ ეტაპზე საკვლევი მხარის ენეოლითურ (გვიანი საფეხური) და პროტოკოლხურ კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხებზე და პროტოკოლხური კულტურის საწყისების ძიებაზე უფრო მყარი არგუმენტები არ მოგვეპოვება. ეს იყო ერთგვარი მცდელობა ამ საკითხის წინ წამოწევისა. ჩვენ გვესმის, რომ ზემოთაღნიშნული პრობლემის მეტნაკლებლად გარკვევაში მომავალში საჭიროა უფრო მეტი მონაცემების ქონა. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: პროტოკოლხური მასალების გარკვეული ნაწილის მიხედვით, რომელიც უფრო მეტად იგრძნობა მეთუნეობაში, შესაძლოა დავინახოთ წინარე პერიოდის მასალებთან შეხების ნერტილები და ერთგვარი ტრადიციის გაგრძელება.

### ლიტერატურა References

1. მ. ბარამიძე, ძვ.წ. III-II ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. საქართველო-აფხაზეთის მოამბე № 2-3, თბილისი, 1999  
M. Baramidze, Archaeological cultures of the 3<sup>rd</sup>-2<sup>nd</sup> mill. BC and their ethnical attributions, Bulletin of Abkhazia (Georgia), ##2-3, Tbilisi, 1999 (in Georgian)
2. მ. ბარამიძე, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 2017  
M. Baramidze, The Northeast Black Sea Coast in the 2<sup>nd</sup>-1<sup>st</sup> mill. BC, Tbilisi, 2017 (in Georgian)
3. ო. ლანჩავა, ნ. ქარცივაძე, გათხრები ქუთაისსა და გელათში (ზოგადი ინფორმაცია), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, XVIII, ქუთაისი, 2008  
O. Lanchava, N. Kartsivadze, Excavations in Kutaisi and Gelati (general information), works of the Kutaisi state historical museum, XVIII, Kutaisi, 2008 (in Georgian)
4. ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში, ძველი ხელოვნება დღეს, თბილისი, 2010  
O. Lanchava, R. Isakadze, Archaeological investigations in the Bagrati church, Old art today, Tbilisi, 2010 (in Georgian)
5. თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიიდან, თბილისი, 1974  
T. Mikeladze, Research for the history of the Colchis and the Southeast Black Sea Coast, Tbilisi, 1974 (in Georgian)

6. ლ. ნებერიძე, დასავლეთ საქართველოს ნეოლითი, თბილისი, 1972  
L. Nebieridze, Neolithic of the Western Georgia, Tbilisi, 1972 (in Georgian)
7. ლ. ნებერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბილისი, 1986  
L. Nebieridze, Early stages of development of the Early Agricultural Culture of the Western Caucasus, Tbilisi, 1986 (in Georgian)
8. ლ. ნებერიძე, მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი, თბილისი, 2003  
L. Nebieridze, Eneolithic settlement of the Sagvarjile cave, Tbilisi, 2003 (in Georgian)
9. რ. პაპუაშვილი, ი. პაპუაშვილი, შავი ზღვის პალეორეჟიმი და მისი გავლენა კოლხეთის დაბლობის დასახლებებზე (ძვ.წ. III-I ათასწლეულებში), თბილისი, 2014  
R. Papuashvili, I. Papuashvili, Paleo Regime of the Black Sea and its impact on the dwellings of the Colchian lowland (in 3<sup>rd</sup>-1<sup>st</sup> mill. BC), Tbilisi, 2014 (in Georgian)
10. ვ. სადრაძე, ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, პროტოკოლხური ნამოსახლარების შესწავლის ისტორიისათვის, გურია V, თბილისი, 2007  
V. Sadradze, L. Jibladze, R. Papuashvili, On the history of the investigation of the Proto-Colchian settlements, Guria V, Tbilisi, 2007 (in Georgian)
11. კ. ფიცხელაური, სამხრეთ კავკასია და ჩრდილო სტეპური სამყარო შუაბრინჯაოს ხანაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 2, თბილისი, 2014  
K. Pitskhelauri, South Caucasus and steppe world in the middle bronze age, Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, Series of History, Archeology, Ethnology and Art History, 2, Tbilisi, 2014 (in Georgian, with English and Russian summary)
12. გ. ფხაკაძე, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია ტ. II, თბილისი, 1992  
G. Pkhakadze, Eneolithic-early bronze ages in the West Georgia, Archaeology of Georgia, v. II, Tbilisi, 1992 (in Georgian)
13. გ. ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, თბილისი, 1993  
G. Pkhakadze, Western Transcaucasia in the 3<sup>rd</sup> mill. BC, Tbilisi, 1993 (in Georgian)

14. გ. ფხაკაძე, კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის კვლევის ზოგიერთი ასპექტი, ძიებანი 2, თბილისი, 1998  
G. Pkhakadze, Some Aspects of the Study the Early Bronze Age Culture of the Kolkheti Lowland, Dziebani, The Journal of the Centre for Archaeological Studies, Georgian Academy of Sciences, 2, Tbilisi, 1998 (in Georgian, with English summary)
15. გ. ფხაკაძე, აფხაზეთის ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები, აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, ტომი I, თბილისი, 2013  
G. Pkhakadze, Aeneolithic and Early Bronze Age Monuments of Abkhazeti, The Ancient Material Culture of Abkhazeti, v. I, 2013 (in Georgian, with English summary)
16. გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბილისი, 1981  
G. Kavtaradze, The Chronology of the Georgian Aeneolithic-Bronze Age Archaeological Cultures in the Light of New Data, Tbilisi, 1981 (in Georgian with Russian and English Summaries)
17. დ. ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის შედეგები, სდსძ, XI, თბილისი, 1982  
D. Khakhutaishvili, Results of the fieldwork of the Archaeological Expedition of the Southwest Georgia in 1979, Monuments of Southwest Georgia, XI, Tbilisi, 1982 (in Georgian)
18. ნ. ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ადრერკინის ხანაში, სდსძ, XV, თბილისი, 1986  
N. Khakhutaishvili, Southwest Georgia in the Late Bronze Age, Monuments of Southwest Georgia, XV, Tbilisi, 1986 (in Georgian)
19. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 1976  
O. Japaridze, To the ethnic history of Georgian tribes, Tbilisi, 1976 (in Georgian, with Russian summary)
20. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1991  
O. Japaridze, Archaeology of Georgia, 1991 (in Georgian, with Russian and German summaries)
21. ო. ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბილისი, 2003  
O. Japaridze, At the origins of the history of Georgia, Tbilisi, 2003 (in Georgian, with Russian and German summaries)
22. ლ. ჯიბლაძე, კიდევ ერთხელ კოლხეთის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართების საკითხებზე,

- ჟურნალი ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, IV-V, მონრეალი-თბილისი, 2001  
L. Jibladze, Once More on the Problem of Interrelation of the Middle and Late Bronze Ages Cultures in Colchis, Amirani, the Journal of the International Caucasological Research Institute, v. IV-V, Montreal-Tbilisi, 2001 (in Georgian, with English summary)
23. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი, 2007  
L. Jibladze, Settlements of the colchian lowland in the 3<sup>rd</sup>-1<sup>st</sup> mill. BC, Tbilisi, 2007 (in Georgian)
24. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია, გურია 6, თბილისი, 2016  
L. Jibladze, Colchian Bronze-Early Iron Age cultures and their Ethnic attributions, Guria 6, Tbilisi, 2016 (in Georgian)
25. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების სინქრონიზაციის საკითხები, ძიებანი, № 23, თბილისი, 2016  
L. Jibladze, On the synchronization of Colchian sites of Early and Late Bronze Ages, Dzebani, The Journal of the Centre for Archaeological Studies, Georgian Academy of Sciences, 23, 2016 (in Georgian with English summary)
26. ლ. ჯიბლაძე, დასავლეთ საქართველოს ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურები, საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ელექტრონული ენციკლოპედია, ძვ.წ. III-I ათასწლეულები, <http://geoarchencyclopedia.ge/ArcheologyEncyclopedia/WebPage/Essays/Essay4.html>, 2017  
L. Jibladze, Early and Middle Bronze age Archaeological cultures of the west Georgia, Bilingual (Georgian-English) Electronic Encyclopedia of Archaeological sites of Georgia (3<sup>rd</sup>-1<sup>st</sup> millennia BC), <http://geoarchencyclopedia.ge/ArcheologyEncyclopedia/WebPage/Essays/Essay4.html>, 2017 (in Georgian)
27. А. Апакидзе, А. Бурчуладзе, Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии, Тбилиси, 1987  
A. Apakidze, A. Burchuladze, Radiocarbon dating of the archaeological and paleobotanic samples of Georgia, Tbilisi, 1987 (in Russian)
28. М. Барамидзе, Г. Пхакадзе, В. Бжания, Г. Шамба, Г. Квирквелия, Т. Чигшвили, А. Орджоникидзе, М. Гумба, Л. Голубева, Археологические исследования в Абхазии, ПАИ, Тбилиси, 1977

- M. Baramidze, G. Pkhakadze, V. Bzhania, G. Shamba, G. Kvirkevelia, T. Chigoshvili, A. Orjonikidze, M. Gumba, L. Golubeva, Archaeological investigations in Abkhazia, PAI (Polevye arkheologicheskie issledovanija), Tbilisi, 1977 (in Russian)
29. В. Бжания, Мачарское поселение энеолита и бронзы в Абхазии, СА №1, Москва, 1966  
V. Bzhania, Machara settlement of the Eneolithic and Bronze ages in Abkhazia, SA (Sovetskaja Arkheologija) #1, Moscow, 1996 (in Russian)
30. Г. Григолия, Г. Мирцхулава, Результаты работ разведовательной экспедиции каменного века в Мингрелии, ПАИ 1974, Тбилиси, 1976  
G. Grigolia, G. Mirtskhulava, Results of the Stone age survey expedition in Megrelia, PAI (Polevye arkheologicheskie issledovanija) 1974, Tbilisi, 1976 (in Russian)
31. Н. Джanelидзе, Палеография в Грузии в Голоцене, Тбилиси, 1980  
N. Janelidze, Paleography in Georgia in the Holocene, Tbilisi, 1980 (in Russian)
32. Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950  
B. Kuftin, Materials to the archaeology of Colchis, v. II, Tbilisi, 1950 (in Russian)
33. Д. Хакхутаишвили, Природа и человек в Приморской полосе Колхиды в эпоху голоцена, Кавказско-Ближневосточный сборник, VIII, Тбилиси, 1984  
D. Khakhutaishvili, Nature and man in the coastal strip of Colchis during the Holocene epoch, Caucasian-Middle Eastern Digest, VIII, Tbilisi, 1984 (in Russian)
34. И. Цвинария, Поселение Гуандра, Тбилиси, 1978  
I. Tsvinaria, Guandra settlement, Tbilisi, 1978 (in Russian)

### შემოკლებათა განმარტება

სდსძ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები

ПАИ – Полевые археологические исследования

СА – Советская археология